



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 506/ს
07/12/2022

506-21-4-202212071558



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ანასეულში შპს „ბერი კომპანის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბერი კომპანის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ანასეულში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2022 წლის 16 ნოემბერს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს "ბერი კომპანის" კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ -ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) და 82²-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტებზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073894 და №073895 ოქმები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ბერი კომპანის“ თავისთავად საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 38 600 მ² ჯამური ფართობის მქონე მიწის ნაკვეთების (ს/კ:26.26.50.074; 26.26.17.219) დაახლოებით 38 000 მ²-ზე გაშენებული აქვს 13 100 ლურჯი მოცვის ნერგი. პლანტაციის მორწყვის მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია წვეთოვანი სარწყავი სისტემა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი, წყალაღების წერტილში განთავსებული ტუმბოდან დაშორებულია დაახლოებით 377 მეტრით, საფილტრაციო-გამანაწილებელი სადგურიდან - დაახლოებით 558 მეტრით, ხოლო საკადასტრო საზღვრიდან - დაახლოებით 358 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი მდ. ორაფო მიწის ნაკვეთიდან მიედინება დაახლოებით 40 მეტრში. საპროექტო მიწის ნაკვეთები უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ლურჯი მოცვის ნერგების მოსარწყავად წყალაღება ხდება მდ. ორაფოდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X - 746154; Y - 4643485. მდინარიდან აღებული წყალი მიღების საშუალებით მიეწოდება მიწის ნაკვეთზე განთავსებულ საფილტრაციო-გამანაწილებელ სადგურს, საიდანაც წყალი მიეწოდება სამ სექტორად დაყოფილ მოცვის ბაღს. საფილტრაციო გამანაწილებელი სადგურის GPS კოორდინატებია: X - 746169; Y - 4643171. სატუმბი სადგურიდან საფილტრაციო

სადგურამდე წყალი მიყვანილია 400 მ სიგრძის (დიამეტრი 75 მმ) მქონე მაგისტრალური პოლიეთილენის მილით, ასევე 200 მ სიგრძის (დიამეტრი 63 მმ) და 100 მ სიგრძის (დიამეტრი 50 მმ) მქონე ქვემაგისტრალური მილების მეშვეობით. წყალი ნარგავებს მიეწოდება 13 500 მ სიგრძის (დიამეტრი 16 მმ) მქონე მილების საშუალებით. წყალაღებისთვის გამოიყენება ორი ერთეული ტუმბო, რომელთაგან ერთი (30 ტ/სთ) გამოიყენება მდინარიდან წყლის ამოსაღებად, ხოლო მეორე ტუმბო (50 ტ/სთ) საფილტრაციო-გამანაწილებელი სადგურიდან წვეთოვანი სისტემისთვის წყლის მისაწოდებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ლურჯი მოცვის ნერგების მორწყვა ხორციელდება სეზონურად, 7 თვის (აპრილი-ოქტომბერი) განმავლობაში. მოსარწყავად გამოყენებული წყლის მოცულობა წელიწადში შეადგენს 3 144 მ³ -ს. სარწყავად ასაღები წყლის მაქსიმალური მოცულობა თვეების მიხედვით შეადგენს 707.4 მ³-ს. მდ. ორაფო სათავეს იღებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, ანასეულის დასახლების მიმდებარედ და წარმოადგენს მდ. ნატანების შენაკადს. მდინარის სიგრძე 12,46 კმ-ია, წყალსაცავი აუზის ფართობია 13,18 მ², ხოლო საშუალო სიმაღლე 75 მ. დოკუმენტის თანახმად, მოცემული რაოდენობით მდ. ორაფოდან წყლის ამოღებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ტერიტორიაზე სარწყავი სისტემა მოწყობილია 2022 წლის მარტის თვიდან. სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირება, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ არის დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს წყალაღების წერტილში და საფილტრაციო-გამანაწილებელ სადგურში განთავსებული ტუმბოები. როგორც უკვე აღინიშნა, ხმაურის წარმომქმნელი წყაროებიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილი შეადგენს 377 და 558 მეტრს. აღსანიშნავია, რომ ორივე ტუმბო განთავსებულია დახურულ შენობებში, რაც თავის მხრივ, ამცირებს ხმაურის დონეს. შესაბამისად, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურით გამოწვეულ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ობიექტზე ადგილი არ ექნება ნარჩენების წარმოქმნას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე ზემოქმედებას და არ მოხდება მცენარეების გარემოდან ამოღება. ამასთან, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება ცხოველთა სამყაროზე მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ანასეულში, შპს „ბერი კომპანის“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. „ბერი კომპანი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბერი კომპანის“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს „ბერი კომპანის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო